ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.07.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 016/14

შეკითხვა:
ადვოკატი ახორციელებს კლიენტის წარმომადგენლობას კონკრეტულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე. მხარეები შეთანხმებული იყვნენ, რომ აღნიშნული დავა განსახილველად გადაეცემოდა არბიტრაჟს. როგორც აღმოჩნდა, შეთანხმებული არბიტრაჟი იყო სწორედ ამ ადვოკატის არბიტრაჟი, სადაც თავად ახორციელებდა არბიტრის ფუნქციას.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მისი კლიენტის საქმეზე განახორციელებს არბიტრის ფუნქციას, დაარღვევს თუ არა იგი პროფესიული ეთიკის ნორმებს?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო

მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.“
ადვოკატი, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებისას თავისუფალია და ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს ამავე კანონის ერთ-ერთი ნორმის, კერძოდ, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის რეგულირების მიხედვით.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს პროფესიული ფუნქციები იმ საქმეზე, რომელზეც განახორციელა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, მათ შორის მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და სხვ. აღნიშნული ნორმის რეგულაცია ვრცელდება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ადვოკატი აღნიშნულ საქმიანობას განახორციელებს კლიენტთან ურთიერთობის დაწყების შემდეგ.
აღნიშნული დებულების თანახმად, ადვოკატმა, კლიენტთან სახელშეკრულებო ურთერთობაში ყოფნის დროს არ უნდა შეასრულოს მის საქმესთან დაკავშირებით არბიტრის ფუნქცია. ეს ქმედება, სავარაუდოდ, გამოიწვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ახორციელებს კლიენტის წარმომადგენლობას, მასთან სახელშეკრულებო ურთერთობაში ყოფნის დროს არ უნდა შეასრულოს მის საქმესთან დაკავშირებით არბიტრის ფუნქცია. აღნიშნული მოქმედება, სავარაუდოდ, განიხილება, როგორც ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.